EUROPEAN ACCREDITED INSTITUTE · EAPTI

მენტალური ჯანმრთელობისა და ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის საერთაშორისო აკადემია

„კვალიფიციური ფსიქოთერაპიული განათლებისთვის საქართველოში“

EAPTI

ერთადერთი ინსტიტუტი
საქართველოდან

ECP

Direct award

ევროპული
სერტიფიცირება

42

ქვეყანა EAP-ის
ქოლგის ქვეშ

ორგანიზაციის შესახებ

მენტალური ჯანმრთელობისა და ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის საერთაშორისო აკადემია მიზნად ისახავს საქართველოში მენტალური ჯანმრთელობის მეცნიერებებში განათლებისა და კვლევის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დამკვიდრებას და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.

აკადემია აერთიანებს ქართველი და უცხოელი ექსპერტების გუნდს, რომლებიც ქმნიან და უძღვებიან ევროპული აკრედიტაციის მქონე საავტორო პროგრამებს ინტეგრირებულ ფსიქოთერაპიასა და მენტალური ჯანმრთელობის მეცნიერებებში.

ერთადერთი EAPTI დაწესებულება საქართველოდან

წარმომადგენელი ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის ევროპულ ასოციაციაში -EAIP-ში

ჩვენი მისია

ქართული ფსიქოთერაპიული სივრცის სრული დარგობრივი ინტეგრირება საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტთან.

ევროპული სტანდარტი ხელმისაწვდომია ეროვნულ დონეზე.

აკადემიის ძირითადი მიზნები

განათლების განვითარება

ხელშეწყობა უპირატესად ადამიანისა და ფსიქიკის შემსწავლელ მეცნიერებებში.

სამეცნიერო პროგრამები

მენტალური ჯანმრთელობისა და ემოციური კეთილდღეობის პროგრამების შემუშავება, განხორციელება და დანერგვა.

კვალიფიკაციის ამაღლება

პრიორიტეტულ სფეროებში მოღვაწე პირთა პროფესიული განვითარება.

სტანდარტის შემუშავება

ფსიქოთერაპიის საგანმანათლებლო და საკვალიფიკაციო სტანდარტის შემუშავება, დანერგვა და განვითარება.

ევროპული არეალი

ევროპული სტანდარტის საგანმანათლებლო არეალის ხელმისაწვდომობა ეროვნულ დონეზე.

სამმაგი სერტიფიცირება — პირდაპირი მინიჭებით

აკადემია ერთადერთი ფსიქოთერაპიული დაწესებულებაა საქართველოდან, რომელიც კურსდამთავრებულებს უქმნის შესაძლებლობას მოიპოვონ სამმაგი სერტიფიცირება პირდაპირი მინიჭების წესით:

ECP

ფსიქოთერაპიის ევროპული სერტიფიკატი

European Certificate of Psychotherapy – Direct Award

ადასტურებს ფსიქოთერაპევტის განათლების შესაბამისობას ფსიქოთერაპიის ევროპული ასოციაციის EAP სტანდარტთან.

ყველა ECPსერტიფიცირებული ფსიქოთერაპევტი აღირიცხება EAP რეესტრში.

ECIP

ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის ევროპული სერტიფიკატი

European Certificate of Integrative Psychotherapy

ინტეგრირებული მიმართულების ევროპული სერტიფიკატი.

სერტიფიკატის ყველა მფლობელი აღირიცხება ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის ევროპული ასოციაციის EAIP რეესტრში.

აკადემიის სერტიფიკატი

მენტალური ჯანმრთელობისა და ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის საერთაშორისო აკადემიის სერტიფიკატი რომელიც ადასტურებს პროგრამის წარმატებით გავლას.

EAPTI დაწესებულების უპირატესობები

- კურსდამთავრებულებს შეუძლიათ პირდაპირი მინიჭების წესით მოიპოვონ ევროპული ასოციაციის (EAP) ევროპული სერტიფიკატი ფსიქოთერაპიაში ECP (European Certificate for Psychotherapy).
- ევროპის მასშტაბით მაღალი სტანდარტის ტრენირება დადასტურებულია დარგის ევროპული ფლაგმანის ფსიქოთერაპიის ევროპული ასოციაციის (EAP) მიერ.
- სერტიფიცირებული ქართველი სპეციალისტებს შეუძლიათ გახდნენ საერთაშორისო პროფესიული საზოგადოებების ხდებიან სრულუფლებიანი წევრები (EAP, EAIP, WCP).
- კურსდამთავრებულების განათლება აღიარებულია ავტორიტეტული ფსიქოთერაპიული ორგანიზაციების მიერ.
- შესაძლებელია სრულუფლებიანი წევრობა ეროვნულ ქოლგა ორგანიზაციაში - ფსიქოთერაპიის ქართულ ფედერაციაში.
- EAPTI დაწესებულებების მაღალი სანდოობა უზრუნველყოფს საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტის შესაბამის ფსიქოთერაპიულ განათლებას.

ფსიქოთერაპიის ევროპული ასოციაცია (EAP)

აკადემია ერთადერთი EAPTI მფლობელია საქართველოდან და მონაწილეობს EAP-ის კომიტეტურ საქმიანობაში, მათ შორის - ფსიქოთერაპიის განათლებისა და პრაქტიკის პანევროპული ჩარჩოს გადახედვის პროცესში.

- ევროპის საბჭოს კონსულტაციური სტატუსის მქონე ორგანიზაცია.
- ნერგავს ფსიქოთერაპიის, როგორც დამოუკიდებელი პროფესიის, ერთიან სტანდარტს ევროპაში.
- აერთიანებს 42 ქვეყნის ფსიქოთერაპიულ ორგანიზაციებს მათ შორის საქართველოს (ფსიქოთერაპიის ეროვნული ქოლგის - ფსიქოთერაპიის ქართული ფედერაციის სახით).
- ადგენს ევროპელი ფსიქოთერაპევტის კომპეტენციის ჩარჩოს და გასცემს ECP-ს.

სამეცნიერო ვალიდაციის როლი

EAP ადგენს ფსიქოთერაპიული მოდალობების სამეცნიერო ვალიდურობის კრიტერიუმებს, ფსიქოთერაპიული განათლების პანევროპულ სტანდარტს, აწარმოებს ECP ფსიქოთერაპევტთა ერთიან ევროპულ რეესტრს.

ანიჭებს ფართო აკრედიტაციის ორგანიზაციის სტატუსს (EAIP, EANLPT, EAGT, EATA, EABP, EFCPP და სხვ.) და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას.

ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის ევროპული ასოციაცია (EAIP)

აკადემია არის EAIP-ის ერთადერთი სრულად აკრედიტებული წარმომადგენელი საქართველოში.

EWAO - ევროპული ფართო აკრედიტაციის ორგანიზაცია

EAIP ერთიანდება EAP-ის ქვეშ და ადგენს და წარმართავს ინტეგრირებულ ფსიქოთერაპიის სტანდარტიზებულ სწავლებას ევროპაში, ახორციელებს სატრენინგო პროგრამების აკრედიტაციას, გასცემს ECIP სერტიფიკატს.

დაარსდა 1993 წელს

მიზანი - ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის უმაღლესი კლინიკური და ეთიკური პრაქტიკის სტანდარტის დამკვიდრება ევროპაში.

ევროპული წარმომადგენლობა

წარმოადგენს ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის ევროპულ საზოგადოებას ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო ასოციაციებთან, ორგანოებსა და მთავრობებთან.

EUROPEAN ACCREDITED PSYCHOTHERAPY TRAINING INSTITUTE · EAPTI / EAP

ინტეგრირებული ფსიქოთერაპია

მენტალური ჯანმრთელობისა და ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის საერთაშორისო აკადემია

International Academy of Mental Health and Integrative Psychotherapy

EAP · EAPTI

EAIP · EWAO

ECP · ECIP

თბილისი, საქართველო · mentalacademy.ge – 2026-2027

რა არის ინტეგრირებული ფსიქოთერაპია?

ინტეგრირებული ფსიქოთერაპია არის ფსიქოთერაპიის ვალიდური მოდალობა, რომელიც აღიარებულია წამყვანი საერთაშორისო პროფესიული საზოგადოებების მიერ **EAP, WCP, EAIP, APA და სხვა.**

მიდგომა აერთიანებს სხვადასხვა ფსიქოთერაპიული სკოლის კონცეფციებსა და ტექნიკებს ახალი, დამოუკიდებელი თერაპიული მოდელის შესაქმნელად. ის გულისხმობს პიროვნების გამთლიანების პროცესს ოთხ სფეროში:

- ემოციური / აფექტური
- კოგნიტური
- ქცევითი
- ფიზიოლოგიური

მოდალობათაშორისი დიალოგი

„ინტეგრირება ფსიქოთერაპიაში ხასიათდება სურვილით გადავლახოთ სხვა სკოლების საზღვრები, რათა აღმოვაჩინოთ, თუ რა შეიძლება ვისწავლოთ ფსიქოთერაპიის წარმოების სხვა მოდელისგან.“

— Norcross (2005)

რა არის ინტეგრირებული ფსიქოთერაპია?

EAIP-ის განმარტებით, ინტეგრირებული ფსიქოთერაპია უპირველესად არის განსაკუთრებული დამოკიდებულება ფსიქოთერაპიის პრაქტიკისადმი, რომელიც ადასტურებს ადამიანისადმი გამაერთიანებელი მიდგომის მნიშვნელობას.

მთავარი აქცენტი კეთდება ადამიანზე ადეკვატურ და ეფექტურ რეაგირებაზე ხუთ დონეზე:

- ემოციური
- სულიერი (სპირიტუალური)
- კოგნიტური
- ქცევითი
- ფიზიოლოგიური

მიზანი

ხელი შეუწყოს ინტეგრაციას ისე, რომ მაქსიმალურად გაუმჯობესდეს ადამიანის არსებობისა და ფუნქციონირების ხარისხი — ინტრაფსიქიკურ, ინტერპერსონალურ და სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეში, თითოეული ინდივიდის პირადი საზღვრებისა და გარეგანი შეზღუდვების გათვალისწინებით.

— EAIP, 1997

მოქნილობა და ხარისხის სტანდარტი

ცენტრალური დებულება: არცერთი თერაპიის ფორმა არ არის საუკეთესო ან საკმარისი ყველა სიტუაციისთვის.

მოქნილობა მიდგომაში

ინტეგრირებული ფსიქოთერაპია ხელს უწყობს პრობლემებისადმი მოქნილ მიდგომას — სხვადასხვა სტრატეგია, ტექნიკა და თეორიული კონსტრუქტი გამოიყენება საჭიროებისამებრ.

ხარისხის სტანდარტი

ამავდროულად, ის ერთგულია უმაღლესი ხარისხის სტანდარტისა — კლიენტის მომსახურებაში, სუპერვიზიასა და ტრენინგში.

ტექნიკის შერჩევა ხდება არა შემთხვევითად, არამედ კლინიკური ინტუიციითა და პრობლემის ღრმა ცოდნა-გააზრებით.

კვლევის ოთხი განზომილება (NIMH, 1986)

1986 წელს NIMH-ის სამუშაო შეხვედრამ ფსიქოთერაპიის ინტეგრაციისთვის 23 კვლევის მიმართულება გამოყო. ისინი ოთხ ზოგად დომენში გაერთიანდა:

კონცეპტუალური დაზუსტება

ტექნიკური ეკლექტიზმი vs. კონცეპტუალური ინტეგრაცია; ცოდნის მოპოვების სტრატეგიები; ფსიქოპათოლოგიის ინტეგრირებული თეორიის როლი.

პროცესის კვლევა

ცვლილების პროცესის შესწავლა; თერაპიული ალიანსის როლი სხვადასხვა სკოლაში; სკოლა-სპეციფიკური ჟარგონის პრობლემა.

ეფექტურობის კვლევები

ემპირიულად დაფუძნებული ინტეგრირებული ინტერვენციების შემუშავება; რომელი კლინიკური პრობლემაა შესაფერისი; პროცესისა და შედეგის შეფასება.

ტრენინგი და სუპერვიზია

ინტეგრირებული თერაპევტების მომზადება; „სუფთა ფორმის“ თერაპიებში ტრენინგი vs. ინტეგრირებული მიდგომა.

თერაპიული ურთიერთობა და საერთო ფაქტორები

საბოლოო ანალიზში ინტეგრირებული ფსიქოთერაპია უმაღლეს პრიორიტეტს ანიჭებს იმ ფაქტორებს, რომლებიც ყველა ფსიქოთერაპიისთვისაა საერთო — განსაკუთრებით კი თერაპიულ ურთიერთობას მის ყველა მოდალობაში.

ურთიერთობის ოთხი საყრდენი

პატივისცემა
Respect

სიკეთე
Kindness

პატიოსნება
Honesty

თანასწორობა
Equality

მხარდამჭერი გარემო

ინტეგრირებული ფსიქოთერაპია ადასტურებს ისეთი „მხარდამჭერი გარემოს“ (holding environment) მნიშვნელობას, რომელშიც ზრდა და განკურნება შესაძლებელი ხდება.

ეს არის ინტერსუბიექტური სივრცე, რომელიც ერთობლივად, კლიენტისა და თერაპევტის მიერ არის შექმნილი.

ღირებულება

ინტეგრირებული მიდგომის უპირატესობები

ყველა ფორმატში გამოყენებადი

ინდივიდუალური თერაპია
ჯგუფური თერაპია
ოჯახური ფსიქოთერაპია, წყვილთა თერაპია
ბავშვები, მოზარდები, ზრდასრულები

სირთულეთა ფართო სპექტრი

პირადი ხასიათის ჩივილებიდან ფსიქიკური აშლილობის სხვადასხვა ფორმების ჩათვლით დიაპაზონი. (საჭიროების შემთხვევაში მულტიდისციპლინურ გუნდთან ერთად).

კლიენტი აქტიური მონაწილეა

სრულად ითვალისწინებს კლიენტის ხასიათს, ღირებულებებს, შინაგან რწმენებსა და მოტივაციას.

მოქნილი თერაპევტი

სხვადასხვა სკოლის ტექნიკის სინთეზი მაღალი ეფექტიანობისთვის.

ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის ისტორია

1930-იანი

სათავე

ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის საწყისები

1980-იანი

წინსვლა

თეორიული განვითარება

1983

SEPI

ფსიქოთერაპიის ინტეგრირების კვლევის საზოგადოების დაარსება

1996

კონსენსუსი

როტი და ფონეგი: ინტეგრირებ ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი მიმართულება

მზარდი კონსენსუსი: თერაპიული მიდგომების ინტეგრირება წარმოადგენს ფსიქოთერაპიის მომავალს.

ინტეგრირების სამი საფეხური

1

საერთო ფაქტორების იდენტიფიცირება

საერთო ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც განსხვავებული თეორიული საწყისიდან საერთო თერაპიულ შედეგზე გადის.

2

ტექნიკური ეკლექტიზმი

ინტერვენციის მისადაგება - განსხვავებული ორიენტირებიდან წამოსული ტექნიკების შერჩევა კონკრეტული შემთხვევისთვის.

3

ინტეგრირება თეორიულ დონეზე

ეფექტური მეთოდების გადაჯგუფება და ახალი კონცეპტუალური მოდელის ჩამოყალიბება თეორიული ინტეგრაციის სახით.

სამი საფეხური მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და ერთიანობაში ქმნის ახალ, თვისობრივად დამოუკიდებელ შესწავლის საგანს.

დასკვნა

ინტეგრაცია — ფსიქოთერაპიის მომავალი

Roth და Fonagy-ის (1996) ვრცელი მიმოხილვის თანახმად, ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მიმართულებაა ის მიდგომები, რომლებიც ცდილობენ თერაპიის მოდელების ინტეგრირებას — ნათელი ეფექტურობის შედეგებით.

„მზარდი კონსენსუსია, რომ ინტეგრირებული მიდგომები წარმოადგენს ფსიქოთერაპიის მომავალს.“

ძირითადი დასკვნები

- არცერთი თერაპია არ არის უნივერსალური
- თერაპიული ურთიერთობა — უმთავრესი საერთო ფაქტორი
- საერთო ენა ჟარგონის ნაცვლად
- კვლევისა და პრაქტიკის შინაგანი კავშირი
- ეთიკური ვალდებულება დიალოგზე

წყარო: European Association of Integrative Psychotherapy (EAIP), 1997 / euroaip.eu

ფლაგმანი პროგრამა

ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის ევროპული აკრედიტებული პროგრამა

- ერთადერთი პროგრამა საქართველოდან, რომელიც აკრედიტებულია EAP-ისა და EAIP-ის მიერ;
- შექმნილია EAP-ის სასწავლოსტანდარტებით;
- იძლევა ECP სერტიფიცირებაზე პირდაპირი მინიჭების წესით კანდიდატების წარდგენის საშუალებას

5

წელი

სწავლების ხანგრძლივობა

128

ECTS

კრედიტი

8

მოდალობა

აღიარებული თერაპიული სკოლა

სამუშაო ენები: ქართული · ინგლისური (სინქრონული თარგმანით)

ფორმატი: ინტენსიური — თვეში 20–40 აკადემიური საათი ერთი ან ორი შაბათ-კვირა

თეორიული საფუძველი და სტრუქტურა

8 აღიარებული მოდალობა

- ფსიქოდინამიკური ფსიქოთერაპია
- ფსიქოსინთეზი
- გეშტალტთერაპია
- ნლპ (თერაპიული მოდელი)
- კოგნიტურ-ბიჰევიორული (კბთ)
- ჰიპნოთერაპია
- მოკლევადიანი სტრატეგიული
- ფსიქოდრამათერაპია

პროგრამის 4 კომპონენტი

თეორია და მეთოდოლოგია
ბაზისური დებულებები და მეთოდოლოგიის სინთეზური ვერსიები საავტორო მოდელის შესაბამისად.

კლინიკური პრაქტიკა სუპერვიზიით
კონტრაქტორ სამედიცინო დაწესებულებებში ქეისის მართვა სუპერვიზიის ქვეშ.

პირადი ფსიქოთერაპია
ინდივიდუალური და ჯგუფური სესიები კვალიფიციურ ფსიქოთერაპევტთან (ECP).

კვლევა და ლიტერატურა
აკადემიური კვლევითი ნაშრომის მომზადება და დაცვა.

სერტიფიცირების ხუთსაფეხურიანი გზა

1

1 წელი

პრაქტიკოსი

ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის პრაქტიკოსის სტატუსი

2

2 წელი

სპეციალისტი

ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის სპეციალისტის სტატუსი.

3

3 წელი

ტუტორი

ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის ტუტორის სერტიფიკატი.

4

4 წელი

ასოცირებული

ასოცირებული ინტეგრირებული ფსიქოთერაპევტი.

5

5 წელი

ECP · ECIP

ფსიქოთერაპიის ევროპული სერტიფიკატები + ევროპული რეესტრი.

სამმაგი სერტიფიცირება: აკადემიის სერტიფიკატი · ECP (ფსიქოთერაპიის ევროპული) · ECIP (ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის ევროპული) — პირდაპირი მინიჭების წესით

აკრედიტაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა

EAP

ფსიქოთერაპიის ევროპული ასოციაცია

ევროპის საბჭოს კონსულტაციური სტატუსი.
აერთიანებს წევრ ორგანიზაციებს 42 სახელმწიფოდან.
აკადემია - ერთადერთი EAPTI სტატუსის მფლობელი საქართველოდან.

EAIP

ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის ევროპული ასოციაცია

დაარსდა 1993 წელს. აკადემია არის EAIP-ის ერთადერთი აკრედიტებული წარმომადგენელი საქართველოში, სრული წევრის სტატუსით.

ფსიქოთერაპიის ქართული ფედერაცია GFP

ფსიქოთერაპიის ევროპული ასოციაციის ეროვნული ქოლგა საქართველოში

აკადემია მიყვება პანევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტს და იდეურ მემკვიდრეობას.

აკადემიის პრიორიტეტი - ფსიქოთერაპიული განათლების საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადება.
ქართული საგანმანათლებლო სივრცის სრული ინტეგრაცია ფსიქოთერაპიული განათლების საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტთან

მიღების წინაპირობები და შეფასება

მიღების წინაპირობა

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სოციალურ ან ადამიანის შემსწავლელ მეცნიერებებში:

- ფსიქოლოგია
- სოციალური სამუშაო
- მედიცინა
- პედაგოგიკა
- მენტალური ჯანმრთელობის რელევანტური დარგები

წარმოსადგენი დოკუმენტები: განცხადება · პირადობა · დიპლომის ასლი · სამოტივაციო წერილი · რეზიუმე. შერჩევა მოიცავს დოკუმენტების რევიზიასა და ინდივიდუალურ გასაუბრებას.

შეფასების კომპონენტები

1. დასწრება (80%+)
2. პრეზენტაცია
3. შუალედური ტესტირება
4. კლინიკური პრაქტიკა
5. სწლიური ნაშრომის მომზადება და პრეზენტაცია
6. კონფერენციები (2+)
7. ყოველწლიური სერტიფიცირება
8. საბოლოო კვლევითი ნაშრომი

სწავლის შედეგები და დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებული აღჭურვილია ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის ღრმა თეორიული ცოდნითა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარებით კონკურენტუნარიანი ფსიქოლოგიური პრობლემების ფართო სპექტრზე მუშაობისთვის.

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

ფართო პროფილის სარეაბილიტაციო ცენტრები და სამედიცინო პროფილის ორგანიზაციები.

ორგანიზაციული კეთილდღეობა

თანამშრომელთა მენტალურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

კერძო პრაქტიკა

ინდივიდებისა და ჯგუფების ფსიქოთერაპია.

საჯარო და კერძო პროგრამები

საჯარო და კერძ დაწესებულებები მენტალური ჯანმრთელობის და კეთილდღეობის სფეროში

აკადემიური ხელმძღვანელობა და ტრენერები

მარინე (მაია) ბეგაშვილი

აკადემიური ხელმძღვანელი

ექიმი ფსიქოთერაპევტი, ECP, ECIP. EAP-ის ეროვნული დელეგატი საქართველოში; EAIP წევრთა კომიტეტის ექსპერტი.

ვასილ კორტხონჯია

ადმინისტრაციული ხელმძღვანელი

ფსიქოთერაპევტი ECIP, ფსიქოლოგი
IAIP აკადემიის კურსდამთავრებული

მოწვეული საერთაშორისო ტრენერები

ბრუნო ვან დენ ბოში

ბელგია

EAIP-ის დირექტორი; EAP წევრთა კომიტეტის თავმჯდომარე; 35+ წლის გამოცდილება.

ლისბეთ პლისარტი

გაერთიანებული სამეფო

მეტანოიას ინსტიტუტის მთავარი სუპერვიზორი; ECP, ECIP; 25+ წლის პრაქტიკა.

კაროლინა ბესეღილ მაიფერი

საფრანგეთი

კლინიკური ფსიქოლოგიის დოქტორი, ფსიქოანალიტიკური ფსიქოთერაპიის დოქტორი, ფსიქოდრამის, ჯგუფური თერაპიისა და მოქმედების ტექნიკის სასწავლო ცენტრის CEPSY Moreno დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

ოანა მ. პოპესკუ

რუმინეთი

EAIP სატრენინგო სტანდარტების ოფიცერი; ACCPI დამფუძნებელი პრეზიდენტი.

ხშირად დასმული შეკითხვები

ფსიქოთერაპიული განათლების სტანდარტი

ვის შეუძლია ფსიქოთერაპიის შესწავლა?

ნებისმიერ მსურველს, ვინც ფლობს ბაკალავრის ხარისხს სოციალურ ან ადამიანის შემსწავლელ მეცნიერებებში.

რამდენი დროა საჭირო?

პანევროპული სტანდარტი მოიცავს სულ მცირე ოთხწლიან პოსტდიპლომურ სწავლებას.

რას ნიშნავს EAPTI აკრედიტაცია?

EAP-ის საგანმანათლებლო აკრედიტაცია ფსიქოთერაპიული განათლების მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის რომელსაც საქართველოდან მხოლოდ ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის საერთაშორისო აკადემია IAIP ფლობს.

რა არის ECP სერტიფიკატი?

EAP-ის სტანდარტი, რომელიც ადასტურებს ფსიქოთერაპევტის კომპეტენციათა ევროპულ დონეს; აღირიცხება რეესტრში.

ფსიქოთერაპიის ეროვნული ქოლგა - ქართული ფედერაცია

აკადემია ეფუძნება ფსიქოთერაპიის ეროვნული ქოლგის, ფსიქოთერაპიის ქართული ფედერაციის იდეურ მემკვიდრეობას, იზიარებს მის მიზნებსა და ღირებულებებს და აგრძელებს მის მიერ საქართველოში დანერგილ პანევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტს.

- ეროვნული ფსიქოთერაპიული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი.
- ხმის უფლებით მონაწილეობს ფსიქოთერაპიის ევროპული ასოციაციის EAP საქმიანობაში.
- ჩართულია პანევროპული გაიდლაინებისა და სტანდარტების ჰარმონიზაციაში.
- ზრუნავს ფსიქოთერაპიის მაღალი კლინიკური და ეთიკური პრაქტიკის დანერგვას საქართველოში.

საერთო დევიზი

„კვალიფიციური ფსიქოთერაპიისთვის საქართველოში“

აკადემია მხარს უჭერს ქართული ფსიქოთერაპიული სკოლის სრულ ჰარმონიზაციას საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტთან.

შემოგვიერთდი

ფსიქოთერაპიული განათლება ევროპული სტანდარტით

2026 - 2027

დაგვიკავშირდი

(+995) 598 53 53 88

mental.academy.geo@gmail.com

გ. ჩუბინაშვილის ქ. N50,
თბილისი 0102, საქართველო

mentalacademy.ge

International Academy of Mental Health and Integrative Psychotherapy